პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩას მიენიჭოს მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X- 480,090.055
Y- 4,616,826.989
X- 480,090.436
Y- 4,616,801.246
X- 480,154.589
Y- 4,616,698.369
X- 480,203.170
Y- 4,616,639.054
ქერამ ბეოძენიშვილის ქ.
X- 480,037.464
Y- 4,616,645.247

X- 478,498.314
Y- 4,617,562.120
X- 478,502.685
Y- 4,617,517.30
X- 478,686.307
Y- 4,617,285.595
X- 478,928.950
Y- 4,617,108.531
X- 478,590.124
Y- 4,617,073.555
X- 479,009.832
Y- 4,617,075.741
X- 478,869.929
Y- 4,617,049.509
X- 478,947.531
Y- 4,616,888.840
X- 478,936.601
Y- 4,616,814.517
X- 479,891.872
Y- 4,616,769.705
X- 480,039.425
Y- 4,616,660.406
X- 479,579.278
Y- 4,616,687.731
X- 478,857.906
Y- 4,616,786.285
მეღაბ ბერძენიშვილის ქ.
X- 479,467.793
Y- 4,616,691.010
X- 479,930.127
Y- 4,616,610.129

024868

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი

13.12.16 წ

№06/20094
13.12.16 წ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge

"9" 12 2016წ.
№ 010107-464/491
თქვ. №

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გ. ალიბეგაშვილს

ბატონო გია,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მოგმართავთ თხოვნით, რათა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელი მიენიჭოს კუს ტბის ასახვევს, სადაც იგი უკანასკნელი წლების განმავლობაში ცხოვრობდა, სადაც განთავსებულია მის მიერ დაფუძნებული მ. ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა" და მისივე სახლმუზეუმი, რომლის ეზოშიც დაკრძალულია თვით მისი ცხედარი.

მერაბ ბერძენიშვილი, მოგეხსენებათ, ერთადერთი პიროვნება გახლდათ ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა შორის, რომელიც არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად.

ამავდროს, როგორც თქვენთვის ცნობილია, იგი იყო საზღვარგარეთის რამდენიმე ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი და მრავალი სახელმწიფო, თუ სახელობითი პრემიების ლაურეატი.

ბატონ მერაბის ღირშესანიშნავი ქმნილებები ამშვენებს ჩვენ დედაქალაქს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს.

მერაბ ბერძენიშვილის შედევრები უმნიშვნელოვანეს პოზიციებზე გვხვდება საზღვარგარეთაც: რუსეთში, აშშ-ში, ავსტრიაში, ლაოსში და სხვა.

მისი ნამუშევრების გამოფენები სისტემატურად ეწყობოდა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთში, რუსეთში, ჩეხეთში, გერმანიაში, პოლონეთში, აშშ-ში, ბულგარეთში და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 06/20094
"13" დეკემბერი 2016
ფურცელთა რაოდენობა ____ ფურცელი
0105, თავიხუფლების მოედანი №2

ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინა ხელისუფლებამ მას მრავალი ტკივილი მიაყენა სრულიად დაუმსახურებლად.

ამდენად ჩვენი თხოვნა მიგვაჩნია სავსებით სამართლიანად და დროულად.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. კვესიტაძე

მთავარი აკადემიკოს-მდივანი აკად. ირ. ჟორდანია

02/858

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ განიხილოთ.

გიორგი ალიბეგაშვილი
02.12.16წ.

№07/19786
02.12.16 წ.

საქართველოს
კულტურის
ფონდი

GEORGIAN CULTURE
FOUNDATION
ФОНД КУЛЬТУРЫ
ГРУЗИИ

№ 01-09

24 11 2016

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს გარდაიცვალა ბატონი მერაბ ბერძენიშვილი.

ბატონი მერაბი იყო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობი-

№ 07/19786
"2" დეკემბერი 2016

საქართველო, თბილისი,0108,რუსთაველის გამზ.48
Грузия, Тбилиси, 0108,пр. Руставели 48
48,Rustaveli Ave, 0108,Tbilisi, Georgia

Tel/Fax.: (99532) 995879
Tel.: (99532) 996411
Tel.: (99532) 932674

ლი "მუზა" ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შეიქმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება "მედეა", სოჭში "ადამი და ევა", მარნეულში აღიმართა კომპოზიცია "კიდევაც დაიზრდებიან", გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი "ჯარისკაცის მამა", ქუთაისში ომის გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია "საქართველო", ავსტრიაში ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვორგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ ბრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში.

ბატონი მერაბი არის საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო პრემიის, ასევე შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით "ღირსეულს", ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით. ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი "ოქროს ლომი". იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია.

ბატონი მერაბი სიცოცხლის ბოლომდე ოცი წლის განმავლობაში იყო საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი.

ბატონი მერაბი ცხოვრობდა და დასაფლავებულია თბილისში, კუს ტბის I ასახვევი №1-ში, აქვეა მისი სახლ-მუზეუმი, ასევე მის მიერვე აშენებული კულტურის საერთაშორისო ცენტრი "მუზა".

აქედან გამომდინარე და იმ უდიდესი დამსახურებისათვის, რაც ბატონ მერაბ ბერძენიშვილს ქონდა ჩვენი ქვეყნის და უშუალოდ თბილისის წინაშე, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი წინადადებით შემოდის ქალაქის მთავრობაში რათა თბილისში, ქუჩას - კუს ტბის I შესახვევს გადაერქვას და დაერქვას ბატონი მერაბ ბერძენიშვილის სახელი.

პატივისცემით

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები:

1. ასათიანი ვალერი
2. გამყრელიძე თამაზი
3. გომურაშვილი ნოდარი
4. კიღურაძე ნინო
5. კამკამიძე ლევანი
6. ლორთქიფანიძე მარიამი
7. ლორთქიფანიძე გურამი
8. ლომიძე ზურაბი
9. მეტრეველი როინი
10. შილაკაძე თამაზი
11. ჩარკვიანი ჯანსუღი
12. ჯაფარიძე ოთარი
13. ჯავახიშვილი ჯონდო



მერაბ ბერძენიშვილი

(1929 – 2016)

ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია ძირითადად მუშაობდა მონუმენტური ქანდაკების დარგში. ძირითადი ნამუშევრები: რუსთაველი, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი. მონუმენტები: დავით გურამიშვილი, გიორგი სააკაძე, მედეა, მუზა, ლაოსის მეფის მონუმენტი პორტრეტები: ქართველი ქალი ,ლადო ქოქიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი. ასევე მუშაობდა გრაფიკისა და ფერწერის დარგში. აფორმებდა წიგნებს, ქმნიდა დაზგურ პორტრეტებს, თეატრალურ აფიშებსა და პლაკატებს.

გარდაიცვალა 2016 წელს.